მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

ოდესაში მოხდა ებრაელთა აწიოკება.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილ-ს 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 28 — ოთხშაბათი, 12 ივლისი 1906 წ. თბილისი — № 28

ვთხოვთ თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

---

## მოკვდა! გაუმარჯოს ცოცხლებს!

Finita comoedia
Initiata tragoedia.

ფრანგებს მეფე სძულდათ. მეფე მოუკვდათ. ისე გაუხარდათ მეფის სიკვდილი, რომ აღარ იცოდნენ რა ექნათ და უსაზღვრო სიამოვნებით დამთვრალებმა შესძახეს: le roi est mort, vive le roi — მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფესო!

Douma est mort, vive le Douma! — „დუმა“ მოკვდა გაუმარჯოს “დუმას“!

კომიკური პოლიტიკური პიესა სახელად „დუმა“, რომელიც დაიწყო 27 მაისს და როგორც იქნა გათავდა 8 კვირიკობისთვეს, თითქმის ორ თვე ნახევარი გაგრძელდა. მოსწყინდა ის რევოლიუციონურ ნაწილს ხალხისას და რეაქციონურ მთავრობასაც.

მთავრობას მოსწყინდა ამ პოლიტიკური პიესის ბოლომდი მოსმენა იმიტომ, რომ ამ პიესის გმირები აპირობდენ დაპატრონებოდენ მთავრობის მოღვაწეობის სცენას.

მთავრობა ხალხს მოსწყინდა იმიტომ, რომ ხალხის სასარგებლოთ არაფერს არ ლაპარაკობდა და ბევრს მოქმედებდა ხალხის საზიანოდ; „დუმა“ ხალხს იმიტომ მოსწყინდა, რომ ძლიერ ბევრს ლაპარაკობდა ხალხის სასარგებლოდ და სულ არაფერს აკეთებდა ამ ხალხისვე სასარგებლოდ.

„დუმა“ არ აკმაყოფილებდა არც ცას და არც დედამიწას, არც მთავრობას და არც ხალხს, ის მეტი იყო ცხოვრების ნადიმშიც და ქორშიც. არ არის გასაკვირველი, რომ „დუმა“ ღმერთმაც შეიძულა და კაცმაც. ამიტომ არ გვიკვირს, რომ „დუმა მოკვდა „ბუნებრივი სიკვდილით“. თუმცა ისეთი ფრაზეოლოგია, როგორც ბუნებრივი სიკვდილი“ სოციალდემოკრატიული სიტყვათა წყობაა, და სოც.-დემოკრატიის საყვარელ „დუმას“ არ უნდა შეხებოდა, მაგრამ საუბედუროდ ს. დემოკრატიისა ეგ სოფელი და დიალექტიკა ცრუ და გაუტანელია. „დუმა“ სიცოცხლის ასპარეზზე ისტორიულმა რკინის აუცილებლობამ გამოიწვია, მას უნდა ეცხოვრა აუცილებლად. მისი უსიცოცხლო სიცოცხლისაგან დაიბადა მისი სწრაფი სიკვდილი ისე, როგორც დიალექტიკის საშუალებით, სიცოცხლისაგან სიკვდილი და სიკვდილისაგან სიცოცხლე, სისულელისაგან გონიერება და გონიერებისაგან სისულელე გამომდინარეობენ. დიალექტიკის ჯავშან ასხმულ პარტიას არ უნდა ეშინოდეს სისულელის, რადგან სისულელე და სიჭკუიანე ერთი და იგივეა ლეოს და კობას თავში; დამარცხება იგივე გამარჯვებაა, რაც ცხადათ მტკიცდება „დუმის“ ექსპერიმენტით. „დუმა“ უნდა ყოფილიყო სოციალური „აკუშერკა“ ორსული კაცობრიობის, მაგრამ თვით „დუმა“ გამოდგა უღღეური ბავშვი სოც.-დემოკრატიული, და დემოკრატიული და სხვა კრატიული პოლიტიკური უსუსურობისა.

„დუმა“ ძლიერ კარგი გასართობი იყო „რჩეულთათვის“ და ამავე დროს ძლიერ კარგი ნარკოტიული საშუალება იყო ხალხისათვის. პარლამენტარიზმი და „დუმა“ პოლიტიკური სიმახინჯეა, ე. ი. სისულელეა სოციალიზმის თვის, მთავრობისათვის კი უაღრესი სამთავრო ხრიკია, მაგრამ მოძრაობა ნივთიერების სამყაროში შეხებითია, გადამდებია, გადამდებია სისულელეც და გონებრიობაც: სოციალიზმას სისულელეც მთავრობას გადაედო, მთავრობის გამოცდილება და ხრივები ხალხმა შეისწავლა.

შეისწავლა ხალხმა „დუმის“ კომედია და ამ კომედიის გმირების მოღვაწობა; აღარ დაუცადა დუმის აქტიორებს, დასტოვა ისინი ლაყბობის სცენაზე და თვით გამოვიდა მოქმედების ასპარეზზე. ამ სანახაობაზე „დუმის“ აქტიორებს გული წაუვიდათ და შესწყვიტეს პოლიტიკური კომედია. Finita comoedia — გათავდა კომედია.

მაგრამ...

მაგრამ ეხლა იწყება ტრაგედია. პიესის გმირები მართლა, რომ ტრაგიკულ მდგომარეობაში არიან: ერთი მხრით თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი, მეორე მხრით ბატონობისთვის მებრძოლი მთავრობა. **მთავრობის ყოფნა ხალხის არ ყოფნაა, ხალხის ყოფნა მთავრობის არყოფნაა.** ეს ორი უმთავრესი გმირები, რომლებმაც უნდა ითამაშონ უმთევრესი როლი ხვალინდელი სოციალური ბრძოლის ასპარეზზე, არიან გამლეტის კითხვის წინ: ყოფნა თუ არ ყოფნა. აი ამ გვარია ის სოციალური ტრაგედია, სოციალური ბრძოლა, რომლის დასაწყისი იწყება, initiata tragoedia — სოციალური ტრაგედია, რევოლიუცია იწყება. დაე დაიწყოს! ცეცხლი ყველაფერს ნათლამს და მისი ალი სინათლის სიმბოლოა.

---

## ახალი ამბავი

11 ივლისს „ნადეჟდის“ საზოგადოების კასირს დერეფანში თავს დაეცენ რამოდენიმე შეიარაღებული კაცი. წაართვეს 3,500 მ. ბრაუნინგის რევოლვერი და წავიდენ. ქუჩაზე ვიღაც უცნობმა უჩვენა მათზე მომავალს ყაზახის პატრულს, პატრულებიც დაედევნენ.

ეს შეამჩნიეს ფულის წამღებლებმა და დაუწყეს თავს შველა რევოლვერის სროლით, მიუხედავათ ამისა შეიპყრეს ორი კაცი, ამვროსი კოხანაშვილი და ალექ. ამილახვარი.

— 11 ივლისს ქალაქში პატრულები გააძლიერეს. ვერის ხიდზე გაღმაგამოღმა სალდათები სდგანან. ვორონცოვისაზე—კი პლასტუნები.

— ლენქორანიდან, ბაქოს გუბერნიიდან, გვატყობინებენ დაუჭერიათ 5 ყაჩაღი, რომელთაც აბრალებდენ რამოდენიმე კაცის მოკვლას და ძარცვა გლეჯას.

— იქიდანვე იტყობინებიან, რომ 4 ივლისს მოუკლავთ მუსა ნუჯიოღლი, რომელიც ბრალდებოდა ძარცვა გლეჯის ჩადენა როგორც ბაქოს გუბერნიაში აგრეთვე სპარსეთში.

— „გლეხის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „გლეხი“ არ დაუკეტიათ. სტამბაში მისულა სტამბის ინსპექტორი და უთქვამს მენტრანპაჟისთვის, რომს აცენზურო კომიტეტის დადგენილებით „გლეხის“ მესამე ნომერი უნდა დავიჭიროთ, მენტრანპაჟს ვერ გაუგია საქმის ნამდვილი ვითარება და შეატყობინა რედაქციას, რომ გენ.-გუბერნატორმა „გლეხი“ დაკეტაო. ამ რიგად მეტრანპაჟმა რედაქცია შეცდომაში შეიყვანა და გამოაცხადებინა, ვითომ მთავრობას გაზეთი დაეკეტოს. შემდეგი ნომერი „გლეხისა“ გამოვა ხუთშაბათს საღამოს ჟამზე.

— როგორც გორიდან იტყობინებიან იქ მოუკლავთ მღვდელი დოლიძე. მკვლელი მიიმალა მიზეზი ამ სიკვდილისა ჯერ არ იციან.

— 10 ივნისს საღამოს 10 საათზე ფოშტა ტელეგრაფის მექანიკოსის გ. გ. მაზმანოვის ბინაზე, ველიკოკნიაჟესკი ქუჩით, შესულან 2 შეიარაღებული კაცი და მოუთხოვიათ ფული. თვით მაზმანოვი არა ყოფილა სახლში. მაზმანოვის ცოლს შეუშინებია და გადაუცია ფულიანი ქისა. თავდამსხმელებს წაუღიათ აგრეთვე ვერცხლის საშაქრე და მიმალულან.

— 11 ივნისს პასტერის ქუჩაზე ბერძენი კ. დელი ოღლანოღლის ბინაზე კლიტით გაუღიათ კარები და წაუღიათ 2,120 მანეთის საღირალი ნივთები. პოლიცია დაედევნა ქურდებს და შეუპყრიათ 3 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ 930 მ. საღირალი ნივთები.

— 10 ივლისს ღამეს ამატუნოვის ქუჩაზე ტორობჩინის შესასვლელ კარებში უნახავთ პატარა ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში წაიყვანეს.

— გვთხოვს გამოვაცხადოთ ინტელიგენტთა ბიურო, რომ ვინც შეტანილია უსაქმოთ დარჩენილთა სიაში, მაგრამ ჯერ კიდევ ნოწმობის მისაღებათ არ გამოცხადებულა თუ კვლავ არ მოვა 12 ივლისის 12 საათამდე დაკარგავს უფლებას პირველ სამუშაოზე და მათ მაგიერ ჩარიცხულ იქნებიან კანდიდატები. ხელა-ხალი ჩაწერა, განცხადების შეტანა და სხვა საჭირო ცნობების მიიღება შეიძლება ოჩბელიანის ქუჩაზე პუშკინის სასწავლებელში დილის 9—1 საათამდე.

---

### ბაქოდან შიო ჩიტაძის მოკვლის გამო.

სამწუხაროთ ვერ მოვასწარი ჩამოსვლა თბილისში შიო ჩიტაძის დასაფლავებაზე ბაქოდან, საიდანაც მე გამომგზავნა იქ მყოფმა ქართველებმა განსვენებულის ცხედარის გვირგვინით შესამკობათ და თბილისის, ღრმა მწუხარებით აღსავსე საზოგადოებისათვის, ბაქოელი ქართველების მწარე გრძნობების გარდასაცემათ. რადგანაც სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა, გთხოვ, ბ. რედაქტორო, ადგილი დაუთმოთ შემდეგს თქვენ გაზეთ „მუშა“ — ში:

ბაქოში მყოფი ქართველები, აღშფოთებული შიოს ვერაგული მოკვლით, უცხადებენ ზიზღს ამ საშინელი დანაშაულობის ჩამდენ მთავრობას, რომელიც გაბოროტებული და დაბნეული ამ უკანასკნელ დროის მოძრაობით თვითონ არ იცის რას სჩადის და თითქოს დღესასწაულობს თავის სამუდამოთ გაქრობას შეუწყვეტელი სისხლის ღვრით და თბილ სისხლის მორევში ცურვით. შიოსთანა პირის სიკვდილით, ბუნებით მშვიდობიანობის მომხრეთაც კი შამოახელიებს თვალებს, დაანახვებს აქტიური ბრძოლის საჭიროებას იმ სისაძაგლის მოსასპობლათ, რომელიც სუფევს ყველგან გარშემო. ქართველ პატარა საზოგადოებისაგან მაინც ხომ დიდი მსხვერპლი მოითხოვა რუსეთის რევოლიუციამ, მან მოკლა ქართველ ინტელიგენციის და ხალხს მისთან პირები, როგორიც იყვნენ კლდიაშვილი, ჩიტაძე დს სხვ. ამ გარემოების დავიწყება ჩვენთვის შეუძლებელია, ამ პირთა აჩრდილი მუდამ ჩვენ თავზე იტრიალებს სანამ მტერი არ იქნება სრულიათ გასრესილი... ქ. ბაქოს ქართველი საზოგადოება აცხადებს რა ღრმა მწუხარებას საუკეთესო საზოგადო მოღვაწის პუბლიცისტის დაკარგვის გამო, ინუგეშებს თავს მით, რომ შიოს სპეტაკი სული იქნება მაშვრალთათვის საუკეთესო მანუგეშებლათ, მის მწარე წამების დროს გასამხნევებელ სურათად და მის ბრწყინვალე მომავლისაკენ დაუდგრომელ სვლის დროს საზოგადოთ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავათ. პატივი ამისთანა დიდ ბუნების მქონე ადამიანს! პატივი ამ სულის სიდიადეს! მშვიდი განსვენება შენ უმანკო, მხოლოდ სალდათების „შტიკებით,“ დამახინჯებულ სხეულს! ბაქოელ ქართველების მინდობილობით.

ლევან ნაკაშიძე.

## რუსეთი

ნობელის ამხანაგობის მმართველობამ შეატყობინა ბაქოს გენერალ-გუბერნატორს; რადგანაც მათ ვერ შეუძლიანთ დააკმაყოფილონ მუშათა მოთხოვნილებანი, ამიტომაც ამხანაგობამ გადაწყვიტა მოსპოს ნავთის წარმოება და დაითხოვოს მთლად მუშები, 10,000 რიცხვამდე. (მილი).

—

20 ივლისს გენერალ - მაიორი ტრეპოვი მიემგზავრება კრიმში, სამსახურის გამოისობით დარჩება ოქტობრამდის. კრიმშივე გადავა მისივე კანცელარია. (მისლ).

—

როგორც „ნაშა ჟიზნ“-ი გადმოგვცემს გენ. ტრეპოვის მთავარმჩეველი, ცნობილი სპირიტი პაპიუსი სულით ავადმყოფი შექმნილა.

—

პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებენ მისი კავკასიის აგენტები, რომ ინგუშების ინტელიგენცია ოსების მიბაძვით, მალე განიხილავს საკითხს, რომ როგორმე გამოიწვიოს უკანვე ინგუშები, რომელნიც შევიდნენ სამსახურში საერობო დარაჯებად და მემამულეთა მცველებად. მოხუცებულნი ურჩევდენ. რომ მოღალატენი ძველებურ ტრადიციის მიხედვით მივცეთ წყევლა კრულვას, მაგრამ ინტელიგენცია კი ფიქრობს, რომ ბოროტება უნდა მოისპოს ძირიანად; ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობა ინგუშებისა, რომელთაც მთავრობა ან მემამულენი აძლევენ 40 მანეთს, ეს იმათთვის დიდი ჯამია. ამის გულისთვის უნდა ინგუშები შეერთდენ ერთად, რომ ეკონომიური პირობები გაუმჯობესონ და მაშინ აღარ ექნებათ ლტოლვილება დარაჯობისადმი. ხმები გაიყო ორად, მაშინ როდესაც ახალგაზრდობა, ეკონომიური პირობების გაუმჯობესობასა ცდილობს ამავე დროს მოხუცნი დადიან სოფლიდან სოფლად და აძლევენ წყევლა-კრულვას მოღალატეებს. (ტრუდ ჟიზნ)

—

დამატებითი ცნობები პეტერგოფში, ქვემო ბაღში მოკლული გენერალი კოზლოვის შესახებ. მკვლელმა როცა შეიტყო, რომ მოკლულია კოზლოვი და არა გენერალი ტრეპოვი გული შეუღონდა. ღამის 4 საათზე მუშების და სალდათების ბრბომ მოახდინა დემონსტრაცია ციხის ახლო, სადაც დატუსაღებული იყო მკვლელი. დემონსტრანტები გაფანტული იქნენ ყაზახების-მიერ, არიან დაჭრილნი. (მისლ)

—

ვადონის მაზრაში აიკლეს მამული პისარევისა, პატევიჩისა და სხვ. ველიევისა. გლეხებმა მიისაკუთრეს მთელი ქონება, პური და წაასხეს საქონელი. (მისლ)

—

ამ დღეებში გენერალ მინთან მოსულა სალდათი სიმიონოვის პოლკისა და განუცხადა რომ ჩვენ პოლკის სალდათა ჯგუფმა გადაწყვიტა „ჩამორეცხონ სისხლი თავიანთ შტიკებს, მინის სისხლით.“ გენერალი მინი დროებით წავიდა სხვაგან. (სოვრემენაი ჟიზნ)

## კორესპონდენცია

**ჭიათურა.** 5 ივლისს აქ დაბა ჭიათურაში მუშებთა შორის საშინელი სურათის მნახველი შევიქენ, რომელსაც დღევანდელ დღეს არ მოველოდი მუშებიდგან ამ ნაირ სურათის ნახვას. აი საქმე რაში

---

# ფელეტონი

### ა ნ ა რ ქ ი ა.

(ედ. დეკლიუდან) *).

კიდევ შეიძლება დარჩეს ერთი ეჭვი, რომლის შემდეგ შეიძლება ვასმეს, ამგვარი კითხვა დაებადოს მუდამ ხომ არ იყო ანარქია მხოლოდ იდეალი, გონების მავარჯიშებელ დიალექტიკური ელემენტი? იყო როდისმე იგი განხორციელებული, პრაქტიკაზე წამოყენებული; აღმოცენებულა კი როდისმე ისეთი სავსებით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომლის წევრებს ნება-ყოფლობით ამხანაგურად შაეერთებინად თავისი ძალა, ემუშავნათ ერთად უუფროსებოთ? ეს ეჭვი ადვილი გასაქარწყლებელია. დიაღ, ანარქიული ორგანიზმები არსებობდნენ მუდამ; დიაღ, პირიდ ისინი თან და თან, უფრო და უფრო მრავლდებიან. ინიციატივის განვითარების თანაბრად. მე შემეძლო დამესახელებინა თქვენთვის, ველურებად აღიარებული მრავალი ტომი, რომელნიც ჩვენ დროშიც-კი სცხოვრობენ სავსებით საზოგადოებრივ გარმონიაში და რომელნიც არ საჭიროებენ არც უფროსებს, არც კანონებს, არც ზღუდეებს. არც ჯარს; მაგრამ მე არ დავკმაყოფილდები მარტო ამ მაგალითებით, თუმცა-კი ესენიც არ არიან მოკლებულნი მნიშვნელობას: მე მეშინიან, რომ, შელაპარაკების მაგვარად, მანიშნებენ უმრავლ-კეთილობის ამ პირველ-ყოფილ ორგანიზმიებზე შედარებით ჩვენ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებასთან, ამ ვეებერთელა ორგანიზმით, რომელშიაც განუწყვეტლივ ერთდებიან მრავალი უფრო პატარა ორგანიზაციები, ამიტომ გავანებოთ თავი ამ ტომებს და გადავიდეთ მხოლოდ განათლებულ ერებზე, რომელნიც აღჭურვილნი არიან რთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მექანიზმით.

მართალია, რომ ისტორიაში არ შემიძლიან მ-გითითოთ ერთ-ერთ იმათზე, რომელიც შეერთებული იქნებოდა წმინდა ანარქისტულ საფუძველზე, იმიტომ რომ, მაშინ ყველა ისინი იყვნენ იმ ხანაში, რომლის დროს უხვდებოდათ ბრძოლა სხვა და სხვებთან, ჯერ შეუერთებელ ელემენტებთან; თუმც ძველი არ არის იმის შენიშვნა, რომ ყველა ამ საზოგადოებებიდან, ჯერ არ შეერთებულ ერთ გარმონიულ ერთეულად სარგებლობდა იმ დიდ კეთილ-ყოფით, განირჩეოდა, იმ დიდ წარმოებით, რითაც ის იყო იმდენად თავისუფალი, რამდენათაც მასში მოიძებნებოდა პირადი ღირსება კერძო პირისა. დაწყებული ისტორიის ხანამდე, იმ დროდან, როდესაც ადამიანურ საზოგადოებებში აღმოცენდებოდნენ ხოლმე მხოლოდ ხელოვნებანი, მეცნიერებანი და წარმოება, უდიდეს ხალხის ისტორიის პერიოდებად იყვნენ ისინი, რომელშიაც ხალხი, აზვირთებული რევოლიუციებით, ცოტათი იტანდა ხანგრძლივ და მძიმე ჩაგვრას მთავრობისაგან განმტკიცებულს. ორი უკეთესი პერიოდი კაცობრიობის ისტორიისა ქებული გამოკვლევით და მოპოვებით, აზრების განვითარებით, ხელოვნების აყვავებით, იყვნენ ბუნდოვანნი, ამბოხიერებელნი ხანები, ხანები „საშიშ თავისუფლებისა“. განუწყვეტელ მაღიანების და სპარსელების სამეფოში, სუფევდა წესიერება, მაგრამ ამათგან კაი არა გამოსულა რა, მაშინ როდესაც მუდამ ამაღელვებელი, გამუდმებულად შერყეული შფოთით რესპუბლიკანუ საბერძნეთი აწესებს უფროსებს (родоначальниковъ), რაც არის დიდი და დიდებული თანამედროვე ცივილიზაციის ღირსებაში; ჩვენ არ შეგვიძლიან აზროვნება, არ შეგვიძლიან მივიღოთ რამე გამაცალკევებელი უიმისოდ, რომ ჩვენი აზრი არ წარიტაცოს დიდებულ ელინების სიდიადემ, რომელნიც ჩვენი წინაპარნი იყვნენ და აქნობამდე დარჩნენ ჩვენთვის ნიმუშად, მაგალითად. მრავალ ტირანობის და ბუნდოვან დროის დაჩაგვრის შემდეგ, რომელსაც თითქოს ბოლო არ ჰქონდა იტალიაში, ფინლიანდიაში, გერმანიაში

---

*) იხილე «მუშა» № 6.

იყო: ერთ ვაჟბატონს ა—ბ-ძეს, რომელიც მუშების მეთვალყურეთ და მუშაობის გამწესრიგებლად ჰყავს პოდრიადჩიკს დაყენებული, ამოუყვანა ორი ზნე დაცემული ქალი, რომლებიც მიეყვანა მუშების სადგომის ახლო მდგომ დუქანში. ამ ვაჟბატონს და ბევრსაც ეს ქალები დაუთვრიათ და ვინ იცის რა არ ჩაუდენიათ. ერთი ქალი წასულიყო ამ დუქნიდგან და მეორე კი დუქანში დარჩენილიყო, დუქნის წინ სკამეიკაზედ ჩამომჯდარიყო და ბავშვივით სტიროდა, მუშები ამ დროს ირგვლივ შემოხვევოდნენ და სეირს უყურებდნენ, თითქმის ქეიფში იყვნენ და მხიარულის კილოთი ილიმებოდნენ. მე ამ ნაირ უსირცხვილო მოქმედებამ მუშებისამ და იმ ვაჟბატონისამ ძაან გამაკვირვა და მასთან იძულებულიც გამხადა მოვშორებოდი იმათ მზერას. მერმე და რასაკვირველია როდესაც ცოტა გამოფხიზლდა და ტირილსაც თავი დაანება ქალმა ადგა და წავიდა. მუშებმა კიჟინით და ვაივაგლახით გააცილეს ამ დუქანს. ამ ნაირი სურათის მნახველი გავხდით მუშებისგან დღევანდელ დღეს. მე კი ჩემი მხრიდგან ამაზედ მუშებს მოკლედ ვეტყვი ორიოდე სიტყვას: ამნაირი ყოფა ქცევა მუშებო! ჩვენთვის დღევანდელ დღეს ფრიად სამწუხაროა, ამ ნაირი სურათის გარდამლა ჩვენ თვალის წინაშე დღევანდელ დღეს, ჩვენი თვალების დაბრმავებაა. ნუ თუ დავიჯეროთ რომ, ჩვენ მართლაც არა გვაქვს ცოტა ადამიანური დაფიქრება. ნუ თუ არ ვგრძნობთ რასაც ჩვენ ჩავდივართ?! ჩვენ როგორც მუშები, თვალ ყურს უნდა ვადევნებდეთ ამ ნაირ უსირცხვილო მოქმედებას რომელიმე ვაჟბატონისას და ვგმობდეთ უნდა მათ ყოფა ქცევას, და ჩვენ კი, იმის მაგივრად რომ დავგმოთ და გავკიცხოთ ამ ნაირი მოქმედება, მის მაგიერ ტაშს ვუკრავთ და მხიარულად ვიღიმებით ხოლმე. ეს მეტის მეტი სირცხვილია ჩვენი, ამხანაგებო, მუშებო!? ჩვენ მაგნაირი სისაძაგლე, მაგნაირი გარყვნილება უნდა მოვსპოთ და დავგმოთ და არა ხელი შევუწყოთ. ნუ თუ არც ამაზედ დაფიქრებულხართ ცოტა ოდენი თუ, რამ აიძულა ის დედაკაცები რომ, ქუჩაშიდ დაეხეტებიან და სხეულით ვაჭრობენ? რამ შეჰქნა იმათი ზნე დაცემულება?! არა ამხანაგებო აგრე არ უნდა ვთელავდეთ ფეხქვეშ ადამიანურ ღირსებას და პატიოსნებას, მასთე არ უნდა ვექცეოდეთ რომელიმე დღევანდელ ცხოვრების გამოთაყულ ადამიანს, მაგრე არ უნდა ვექცეოდეთ ადამიანურ ღირსების შელახვას, არა და არა. დრო არის შევიგნოთ რას წარმოადგენს დღევანდელი ცხოვრების მეტის-მეტი უსამართლობა, რაში გამოიხატება ადამიანის ღირსება და პატიოსნება, მეტის-მეტ სასირცხვილოდ მიმაჩნია თქვენი ყოფა-ქცევა იმ ადამიანზედ, რომელიც მსხვერპლად გაუხდია დღევანდელ უსამართლო ცხოვრებას. მაშ გიმეორებთ ამხანაგებო! დავგმოთ მაგნაირი ყოფა-ქცევა ჩვენ შორის, და მასთან კიდევ გავკიცხოთ ის ვაჟბატონებიც რომლებიც, ასრე უსირცხვილოდ ლახავს ადამიანის ღირსებას და პატიოსნებას. აი ესაა ჩემი შეხედულება თქვენ მიერ ჩადენილ საშინელ სურათისა.

მუშა პრ. გუჯაბიძე.

---

# უცხოეთი.

**ინგლისი.** ნორტუმბერლენდის ქვა-მადაროს მუშები, აქამომდე ინგლისში, ალმაცერად უყურებდენ სამუშაო დღის შემოკლებას. იმ დროს, როდესაც მთელ ინგლისში ცდილობდნენ მოეპოვებინათ 8 საათის სამუშაო დღე, ნორტუმბერლენდის მუშები კი ენერგიულად წინაალუდგენ 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას. 3 წლის წინათ უყარეს კენჭი თავიანთ შორის და ხმის უმეტესობით უკუაგდეს. ბოლოს თანდათან გადაიხარნენ 8 საათის მუშაობის შესახებ დაკანონებაზე, და ამიტომაც მოახდინეს პლებისციტი თუმცა კი მაინც ცოტა მომხრენი აღმოჩნდნენ. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც პარლამენტში შეტანილი ბილლი სამუშაოს დღის შემოკლების შესახებ, ყოველთვის მარცხდებოდა ხოლმე, რადგანაც თვით მუშებთა შორის არ ეჩნეოდა ერთსულოვანობა.

—

**საფრანგეთი.**

„Temps nouveaux“ სწერს შემდეგს: არც „l'Humauite“-მ, არც „Voix dupeuple“ არ ინებეს ხმის ამოღება იმ ორ სტატიაზე, რომელიც ეს ერთი თვეა, რაც ამავე ადგილას იმავე სათაურით „Une rumeur“ მე დამიბეჭდია საჭიროა პირდაპირ დავაყენოთ კითხვა. ნამდვილათ ჰქონდა თუ არა ადგილი მოლაპარაკებას ადმინისტრაციის გაზეთ. „l'Humanite-ს“, რომელიც გამოდის სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, და ოთხი თუ ხუთი კონფედერაციის სამუშაო რევოლიუციონერების შორის იმის თაობაზე თუ მიიღონ ეს უკანასკნელი ამ ზემოხსენებულ ჟურნალში. ჩვენ ველით პასუხს. ჩვენი კითხვა ფრიად საყურადღებოა.

—

**ფირმ ნი**—ამავე ქალაქს ამხანაგი ჩვენ გვატყობინებს შინაარს იმ წერილისა, რომელიც ასიერის და ფორჟის დირექციამ მიმართა საპითაოდ ყოველ წევრს თავიანთ მუშებს, რომელნიც დღეს გაფიცული არიან აი უმთავრესი 3 პუნქტი: თქვენ ნუ მობრძანდებით ქარხანაში პარასკევს 22 ივნისს, თუ არ მოიხადეთ ბოდიში, ანუ თუ არ წარმოადგინეთ საბუთი თქვენი არ დასწრებისა.

თქვენ დაარღვიეთ მუშაობის პირობა და ნულარ მიიღებ მონაწილეობას ჩვენი წევრების შედგენაში.

თუ ვინიცობაა თქვენ მოისურვეთ ხელმეორეთ შემოსვლა ჩვენ ქარხანაში, მაშინ თქვენ შეგიძლიანთ წერილობითი არზით მიმართოთ დირექციას, რომელიც დაადგენს თუ რა გადაწყვეტილებას დაადგეს თქვენ შესახებ.

გაფიცვის კომიტეტმა და სინდიკატის ბიურომ წერილით მისცეს შემდეგი რიხიანი პასუხი.

„პასუხათ თქვენ წერილებზე მიმართულ მუშებთან, რომელთაც თქვენ ამტყუნებდით თავის ცხოვრების უფლების დაცვის გამო, ჩვენ გეუბნებით რომ თქვენი სამარცხვინო და დანაშაულობითი მოქმედებას ყურადღებას არ ვაქცევთ და მაშასადამე არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ თქვენ რისხვას.

მუშები, რომელნიც ენდობიან თავის შევნებას, რომელსაც სოლიდარული გრძნობა ეუბნება მას, რომელიც შეაძლებინებს შეაერთოს ყველა მუშები არ იქნებიან ისე სულელ...

---

განვლო მხოლოდ ორ ათასმა წელმა, რომ მთელ ევროპის ქალაქის თემებს ხელახლად უნდოდათ ამოესუნთქათ თავისუფლებით; მაშინ იყო ქვეყანა აბობოქრებული უთვალავ რევოლიუციების რაოდენობით: ფერქარიმ ჩამოსთვალა არ ნაკლებ 7000 ადგილობრივ ამბოხებისა მარტო ერთ იტალიაში; მაგრამ ამასთანვე ერთად იფეთქა თავისუფალ აზროვნების ალმაც და კაცობრიობა ახლად დაადგა განვითარების გზას; რაფაელების, ვინჩის და მიქელ ანჯელამის გამოისობით იმან ხელმეორედ იგრძნო ახალგაზრდობა. შემდეგ დიდება დიდებული, ენციკლოპედიის და მაზედ მოყოლებული რევოლიუციების და გამოცხადება ადამიანის უფლების, საუკუნე მოითხოვეთ ეხლა თუ შეგიძლიანთ დათვალოთ მთელი პროგრესი, რომელიც მოხდა ამ დიდებულ კაცობრიობის აბობოქრების შემდეგ! მართალია, შეიძლება შევეკითხნეთ ჩვენ თავს, ხომ არ შემოკობა (концентировалось XIX საუკუნეში დიდი ნაწილი კაცობრიობის ისტორიისა. რაოდენობა ხალხისა დღით-დღე იზრდებოდა, რომელიც ნახევარ მილიარდს თამამად აღწევდა, ვაჭრობა უფრო განვითარდა, წარმოება განახლდა, და მისი სახსარი შესანიშნავად გამდიდრდა, აღმოცენდნენ ახალი მეცნიერებანი და, რაც უნდა სთქვან იქ, იცოდნენ რომ, ხელოვნების მესამე ეპოქა უკვე დადგა; გათვითცნობიერებულმა და საერთაშორისო სოციალიზმა მიაღწია თავის სავსებით განვითარებას. ჩვენ მაინც ვგრძნობთ, რომ ვცხოვრობთ საუკუნოს დიდებულ ხანაში და დიდებულ ბრძოლაში. მოითხოვეთ ეხლა გამოცვლა იმ ასი წლისა, რომელნიც გამოირიცხნენ მე XVIII საუკუნის ფილოსოფიისაგან იმგვარივე ხანგრძლივ პერიოდის, რომელიც მოვლებულია ისტორიას, რომლის განმავლობაში 300 მილიონი მშვიდი ჩინელები იცხოვრებდნენ რომელიმე „ხალხის მამის“, ოპეკისაგან განსახორციელებლათ. იმის მაგიერ, რომ ვიცხოვროთ ისე, როგორც ვცხოვრობთ ჩვენ, ჩვენ თანდათან მიუახლოვდებოდით უსაქმობას და სიკვდილს. თუ რომ გალილეი, რომელიც იჯდა ინკვიზიციის საპყრობილეებში, თავისთვის წაილუღლუღებდა: „მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს!“ ჩვენ ეხლა რევოლიუციების მეოხებით, თავისუფალ აზროვნობის ძალადობის მეოხებით, ქუჩებზე და მოედნებზე შეგვიძლიან ხმა მაღლა ვიყვიროთ: „სინათლე მოძრაობს და კიდევაც იმოძრავებს! ..“

ამ დიდებულ მოძრაობის გარდა, რომელსაც თანდათან საზოგადოება თავისუფალ აზროვნების, თავისუფალ ზნეობითი სწავლის, თავისუფალ ყოფა-ქცევისაკენ მიუდის, ე. ი. ანარქიზმისაკენ, აქვს ადგილი კიდევ მეორე თვისების საქმეს: პირდაპირი გამოცდილებები ანარქისტულ და კომმუნისტურ კოლოთეების დამყარების გზით; ეს ცდილობები, რომელიც შეიძლება შეუდარონ ლაბორატორულ გამოცდილებებს, ხიმიკების და ინჟინრებისაგან გაკეთებულს. ყველა ეს დამკვიდრების გამოცდილებები სამაგალითო თემების, იტანჯებიან ფრიად დიდი ნაკლულევანებით, ყველა ესენი ხდებიან ჩვეულებრივ ცხოვრების პირობების გარეშე, ე. ი. ქალაქებ გარედ, რომელშიაც გროვდება ხალხი, ჩნდება იდეიები და ახლდება გონება. მიუხედავად ამისა, ბევრმა ამ დარგთაგანმა მიაღწია სავსებით წარმატებას. სხვათა შორის ახლად აღმოცენებული იკარია, განათლებული კოლონია კაბე, აშენებული ამ ერთ ნახევარ საუკუნის წინედ ავტორიტეტულ კომმუნიზმის საფუძვლებზედ: გადადებული იმმიგრაციის მეოხებით და გამხდარი ანარქიული ჯგუფი კომმუნისტების მშვიდად სცხოვრობს აწმყო დროში იობის ვაკეზე, ბერების მდინარის მახლობლად.....

(შემდეგი იქნება)

ლები, და თქვენ ჩავარდებით მასხარულ მდგომარეობაში თქვენი წადილის წინაშე, ფირმინის მუშათა კლასსის დამშვეაში.

თქვენი მოქმედებით თქვენ იწვევთ მუშათა კლასს მაშასადამე ბრძოლა დაიწყო და ვნახოთ, ვის დარჩება გამარჯვება?

გათვალისწინებთ თუ არა პირველ დღეების ისტორიულ ფაქტებს ჩვენ დრომდე თქვენ დაგვცინით იმ იმედით, რომ გამარჯვება დარჩება ბნელ და მხეცურ ძალებს.

მაგრამ დაუფიქრდით! სიმართლის და სოლიდარობის გრძნობა თან და თან თავში უჯდება მუშათა მასსას და გაუფთხილდით რომ თქვენი იარაღით თქვენ წინაალმდეგვე არ იხმარონ.

სანამ გავათავებდით, უნდა გითხრათ, რომ თქვენ იქნებით პასუხის გებაში იმ საქმეებში, რომლის გულისათვის ისტყდება მღელვარება და მივმართავთ ჩვენ ენერგიულ მოქმედებას თქვენ წინაალმდეგ.

გაფიცვა კიდევ გრძელდება ფირმინში.

---

## სვანეთი განსაცდელშია.

როგორც დეპეშებით ქუთაისიდან იტყობინებიან და როგორც გაზეთებმაც გვამცნეს სვანეთში ჯარსა გზავნიან. რათ და რის გულისათვის?— იმისთვის რომ განმთავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ მიაწია დაბეჩავებული მთებში მიკუჭნულ სვანამდე და მან მოინდომა ადამიანური ცხოვრება. სვანამაც შეიგნო, რომ მისი „მახვში“ (ბატონი) არა ყოფილა ღვთის თანამოზიარე და მისგან დაყენებული. მიხვდა სვანი, რომ მისი ბატონი, თურმე, ისეთივე კაცი ყოფილა როგორც სხვა სვანი. ისიც შეამჩნია, რომ მას შიმშილი ჰკლავს, და აქაც მიზეზათ მისი დაბეჩავებული ბატონები და მთავრობა ყოფილა. შეიგნო რაც სვანმა, ეგიც ჩაერია განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში და მიესწრაფება ადამიანური ცხოვრებისაკენ. მაგრამ ამას ვერ მოითმენს ყოველივე გათვითცნობიერების და თავისუფლების მტერი მთავრობა. ვერ მოითმენენ ამას თვით სვანეთის თავადებიც და ამიტომაა, რომ ისინი თოფ-ხარბაზნებით ემზადებიან ხალხის წინაალმდეგ საბრძოლველათ. ამიტომაა, რომ ვაებატონმა გარდაფხაძეებმა არ დაინდვეს თვით ახლო ნათესავი შ. გელოვანი და ტყვიით განუგმირეს გული. სვანეთის ბატონებს (მაგრამ ეს სიტყვა ვერ ხატავს იმ ყოვლათ შემძლებელ ძალმომრეობას, რასაც სვანეთის თავადები სჩადიან) „ღმერთებს“ კარგათ ესმის, რომ დადგა დრო და მათ „ღმერთობას“ ელება ბოლო *). წელიწადზე მეტია, რომ ამ ვაებატონებმა დატყავეს თბილისი, ქუთაისი და, შეიძლება კიდევ უფრო მაღლაც, რომ როგორმე სვანეთში ჯარები გადაასხან და იყარონ ჯავრი გლეხებზე.

შარშან ამ დროს სურდათ ჯარების გაგზავნა, მაგრამ სვანებმა ეს უბედურება თავიდან აიცდინეს, სტაროსელსკის თუ სხვა ვინმეს შემწეობით. დღეს კი როცა რეაქცია განმტკიცდა მთელს რუსეთში, როცა მთელი კავკასია სისხლით, მოირწყო, როცა ქუთაისის გუბერნია რეაქციის დამქაშმა გენერალმა ალიხანოვმა ერთიან გაანაცარტუტა, სვანეთის პარაზიტებს იმედი გაუღვივდათ. ესაა ეხლა შეეუჩიეთ დრო და სვანებს ისევ ავლაგმავთო. ამ ზამთარ (არ მახსოვს რა თვეში) სვანეთის „მთავარი ღმერთი“, თათარხან დადიშკელიანი ხშირათ შეათარეშებდა ხოლმე ნამესტნიკთან გაპრიალებულს ეტლს, სხვა და სხვა „ჩინიან“ და ცილინდრიან პირების თანხლებით. ეჭვს გარეშეა რომ სვანეთზე კაი ამბებს არ მოუყვებოდა და დღეს ამისთანაების შედეგია, რომ სვანეთისკენ ჯარებს გზავნიან. არავისათვის გაუგებარი არ არის რასაც ჩაიდენს ეს ჯარი. ყველამ კარგათ ვიცით, რომ გამოჩენილი, „შინაური მტრებთან“ ბრძოლაში ერთგული სარდლები საუკუნოთ დაახსოვრებენ თავიანთ თავს სვანებს. მაგრამ მოვალეობა ჩვენი ყველასი ყოველივე ძალა ვიხმაროთ, რომ მომავალი საშინელი უბედურება სვანეთზე თავიდან ავიცილნოთ. თვითეულმა ჩვენგანმა უნდა მიმართოს იმ საშუალებას რითაც შეუძლია უშველოს სვანეთს. გავაფრთხილოთ აგრეთვე სვანეთის ბატონები, რომლებიც პირველი მოტრფიალენი არიან ჯარის სვანეთში გადასვლისა ი. სვანეთის აოხრებისა, რომ ერთი წვეთი ჯარებისაგან დათხეული სისხლის, ერთი გაუპატიურებელ ოჯახის, ერთი უბრალო გადამწვარი ქოხის და ერთის სიტყვით ერთი უბრალოთ წამხდარი საქმეს პასუხი მაგათ მოეთხოვებათ. ყველა ეგენი და სხვა „ქვეწარმავალნი“, რომელიც ხელს შეუწყობენ სვანეთში ჯარების გადასვლას, იქნებიან საგანი ხალხის შურის ძიებისა, ისტორიისა, ის და განმათავისუფლებელს მოძრაობას ე. ი. დღევანდელი რევოლიუციის, პასუხის გე-ბისა.

გი—გო.

*) სიტყვა „ღმერთობა“ გადაჭარბებული არ იქნება, რადგან სვანის ცხოვრებაში არ არის ისეთი მხარე, რომელშიაც არ შეეძლოს გადამწყვეტელი ძალით ჩარევა სვანეთის ბატონებს. მაგ. ბატონის ბრძანებით სვანი დღეობს, ბატონის ბრძანებით სვანი კაცს კლავს, ბატონის ბრძანებით თავის ოჯახს, თავის ცოლს, შვილს და ყოველივე რაც გააჩნია, მასვე მიართმევს. ერთის სიტყვით სვანისათვის ბატონი იგივე ღმერთია, მხოლოთ ქვეყნიერი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „მუშის“ მე-22-ში მოთავსებულია კორესპონდენცია, რომელიც მომართულია ჩემს წინაალმდეგ. მე ეხლავ არ გამოვუდგები კვალდა კვალ იმ მტკნარ სიცრუის გამოაშკარავებას, რომელიც ამ წერილშია მოთავსებული ჩემ შესახებ. მხოლოდ ეხლა საჭირო ვსთვლი უმორჩილესი თხოვნით მივმართო „მუშისავე“ საშუალებით ჩემი მოწინაალმდეგე კორესპონდენტს მიუცილებლად გამოყვეს მედიატორულ სამართალში, რომელიც გამოაშკარავებს იმას, თუ რამდენად მართალია ბ-ნი „კასკასო“ თავის წერილში. თუმცა ყოველგვარ სისაძაგლეს კი მწამებს ბ-ნი „კასკასო“ თავის წერილში, მაგრამ სიმართლის გამოსაკვლევად უმჯობესია ეს საქმე მედიატორებით გაირჩეს და ვსდებ პატიოსან სიტყვას მისი პიროვნება ხელ-შეუხლებელი დარჩება, მხოლოდკი დიე, თვით საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი ამ წერილის ავტორის პოლიტიკას“... თუ ბ-ნი „კასკასო“ ნიღაბს არ აიხდის და მოქალაქეობრივ გამბედაობით არ გამომყვება მედიატორულ სამართალში, მაშინ მე უნდა ვუწოდო მას პროვოკატორი და საძაგელი ცილის მწამებელი *).

А. Айдаровъ.

*) ჩვენი ქიათურელი კორესპონდეტი ეცდება, რასაკვირველია, თვით გასცეს პასუხი, მაგრამ ჩვენ გვიკვირს ბ. ა—ვის მხრით რათ ინება თვითნებურად და მოწინაალმდეგის გაამტყუნებლად პროვოკატორი უწოდა თავის მოწინაალმდეგეს. ჩვენ პროვოკატორებთან საქმეს არ ვიჭერთ ჩვენ ვებრძვით მათ. ბატონ აიდაროვს ტყუილად მოუსურვებია ან სამედიატორო სამართალი ან პსევდონიმის გამომჟღავნება, რადგან მედიატორეებმა კენჭით უნდა გადაწყვიტონ სიმართლე უკანასკნელ ანგარიშში, რაც დიდი უსამართლობაა თავის თავად, რაც შეეხება პსევდონიმის ფარდის ახდას ესეც მეტია, რადგან სიმართლე არ არის დამოკიდებული სახელზე. ამიტომ თუ მედიატორე გინდათ მაინცა და მაინც თქვენი საბუთები წარმოუდგინად მოწინააღდეგის წინაალმდევ; საზოგადოების აზრი უკეთესი მედიატორეა ვინემ თქვენი და თქვენი მოწინაალმდეგის ამორჩეული.

თქვენ საბუთები არგუმენტები მოგვაწოდეთ და თქვენზე უკეთ ჩვენ გავარიგებთ ჩვენ კორესპონდენტ თუ ტყუილი დაურჩება ნათქვამი.

რაც შეეხება თქვენ დაპირებას ხელს არ შევახებ, მეტია თუ გინდათ შეახეთ აიღეთ და შეჭამეთ, პიროვნების ხელის შეხება თქვენზე კარგა შეგვიძლია, მხოლოთ უპირო პიროვნების.

---

# დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია, რომ დათხოვნილია სამსახურიდან ობერპროკურორი უწმინდესი სინ... შირინსკი-შახმატოვი.

—სიზრანში და მის მაზრა... მოცხადა გაძლიერებული ... წესები 1 წლით.

**კოვნა.** გუშინ საზღვარზე ... მდებარე სოფელი იურბურგში ... დაიწვა 150 მეტი გზრაელთა ს...

**პოლტავა.** დაპატიმრებ... ლდება. ქალაქ გარეთ მოხდა ... ნგი.

**ოდესსა.** ებრაელთა შიშ... კებაზე, ყაზახის დასაფლავებ... მო გამართლდა. პროზორ... ქუჩაზე ქალაქის გარეთ-უბანში ... ხდა აწიოკება, მაგრამ მილ... ზომებით, შეაყენეს არეულ...

**ხარკოვი.** დილით, ციხიდან ... იქცნენ მოსეირნე 33 ტუსაღ... რაჯმა დაჭრა 3, 16 დაპყრ... დანარჩენი გაიქცნენ.

**როსტოვი-დონზე.** გუშინ ... თან შეიყარნენ ბევრი ხალხი, ... ულობდნენ პოლიტიკურ დამნ... თა განთავისუფლებას. დაიწყ... რების და ფანჯრების მტვრევა. ... ხეში ჯარი იქმნა შეყვანილი. ... ხებმა გაფანტეს ხალხი.

**ოდესსა.** ბარანოვის ოთახში ... ცვივდენ 8 შეიარაღებული. 7 ... განი მისცვივდნენ მის ცოლს და ... ტიურეს. დედაკაცის ყვირი... გამოცვივდენ მეზობლები; ბორ... მომქმედნი მიიმალნენ.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

---

# განცხადებანი.

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ... ნი გაზეთის პატარა კალონები ... **შის**, მწარმოებლის მიერ გამო... დებულ პროტესტს მჩაგვრელთა ... ნაალმდეგ და ამით ხელი შევუწ... მუშების დიად ბრძოლას სახელ... ფოსა და კაპიტალის წინაალმდეგ.

---

# ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა ... ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობა... თისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ... მინისტრაციის ხელში. ამისათვის ყ... ველგვარი წერილები და ფული ... ვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგე... ნტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოვე... წერილზე და აგრეთვე ფულიან კო... ნვერტებზე, თუ თუ ფულის გა... გზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“.

„**მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.**